

ბიზნეს სუბიექტები... 2014 (II)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის ნოემბრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 3 502 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.1% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.9% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.800 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. ნოემბრის თვეში კლება დაფიქსირდა როგორც წინა თვესთან (19.1%-ით), ისე წინა წლის იმავე თვესთან (9.0%-ით) შედარებით.

2014 წლის ნოემბრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 19.1%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 17.7%-ით შემცირდა. განსხვავებული ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 9.3%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის ზრდა 3.0%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.800 და 0.803 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. ნოემბრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (1 954 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 55.8%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 333 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 38.1%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 93.9% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 99 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 78 კოოპერატივი, 29 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, 6 სააქციო საზოგადოება, 2 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 1 საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

P.S. დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... ნოემბერი, 2013-2014

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2014



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა ნომბერი, 2013-2014

ინდიკატორები	ზ.ე.	ნომბერი	
		2013	2014
რაოდენობა			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3748	3400
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	99	102
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3847	3502
სტრუქტურა			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	97.4	97.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	2.6	2.9
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-3.4	-19.1
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-26.1	-17.7
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-4.2	-19.1
ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	13.0	-9.3
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-20.2	3.0
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	11.8	-9.0
ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.882	0.800
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.780	0.803
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.879	0.800
რაოდენობა			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	2410	1954
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1	0
კოოპერატივი	ერთეული	6	78
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1317	1333
სააქციო საზოგადოება	ერთეული	5	6
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	9	29
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	99	99
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	2
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	1

წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 2014

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ՀՌԲԵԿՆԸՆ ԻՃՅՈՆՆԵՒՄՈՒՆ ՄՅՈՆ ԸՆԾԱՆՈՎՆԱ... 2010-2014
ՆԵՏԻ ՀՌԲԵԿՆ ԵՆԹՈՒՄՆԵՐԻ (ԻՒՄԿԵՐ)

